ხათუნ, რამეთუ მელანიას ყოველივე სადილისათჳს
მზა აქუნდა; შურით და რისხვით აღგზნებულმან
კვალადცა ჰრქუა ვასილის: აღასრულებს სიტყუასა
ჩემსა, რაჲცა გარქუ შენ? ვასილი კვალადვე მიუ-
გებდა ერთსა და მასვე სიტყუასა და ჰსთხოვდა, რა-
თამცა მან დაუტეოს განზრახუაჲ თჳსი, არამედ
ისადილონ და შეექცნენ მშუენიერის სახილავთა მით.
მაშინ სითიხათუნ ვერღარა დამპყრობელმან რისხჳსა
თჳსისამან და განსრულმან გარე თავისა თჳსისა, უპ-
ყრა მელანიას ჴელითა თმანი და მიიზიდა იგი და
შესძახა: უგუნურო, უფროს ჰპატივსცემა უბრალოსა
ამას ქალსა გლეხისასა ვიდრე, მე მაშა იხილე და
გამოსცადე შურის-გებაცა ჩემი, მეყუსეულად იხადა
დაფარული იგი მახჳლი და სამგზის უგმირა გულსა
მელანიასასა და მოკლა იგი: ვასილი მყის მოქცეული
შიშითა ივლტოდა სოფლად და აუწყა ყოველთა
შემთხუევაჲ იგი: ხოლო სითიხათუნ მოგებულმან
თავსა შორის თჳსსა, იხილა, რამეთუ ამიერიდგან
ვერღარა განერება სიკუდილისა, განიგმირა თავიცა
თჳსი მახჳლითა და დაეცა მკუდარნი, გვერდით

მელანიასა. მოვიდნენ მრავალნი სოფლით და იხილეს უბადრუკნი იგი მკუდარნი, აღიღეს გუამი მელანიასი და წარმოიღეს და დამარხეს ეკკლესიასა, ხოლო გუამი სითიხათუნისა დაუტევეს მჴეცთა და ფრინუელთა შესაჭმელად. ესრეთ აღიხოცა სახლი არტავაზ მესხთა მთავრისა: ხოლო სრულიად სამცხე დაიპყრა ათაბაგმან: ესრეთცა წარწყმდა ყოვლად მშუენიერი იგი ქალი, რომლისა მშუენიერებისა მეძიებელნი წარაგებდნენ მრავალთა საუნჯეთა და თჳთ თავთაცა თჳსთა მოაკლდებოდნენ, ვითარცა ყამარბეგ.

იხილეთ მოყუასნო, ვითარ უსარგებლო იქმნა ცბიერება ყამარბეგისა, და ვითარი შინაგანი სიბოროტე იყო დაფარული გარეგანსა მშუენიერებასა სითიხათუნისასა; რომელმანცა მოჰკლა ქმარი თჳსი შემდეგ უბადრუკი მელანია და უკანასკნელ თჳთ თავიცა თჳსი; არა სამართლად ბრძანებულ არს? ჰხილენით საფლავები, რომელნი განგოზილ-არიან გარეგან, ხოლო შინაგან სავსე არიან ძუალებითა მკუდართა, ნამდჳლ ესრეთ იყო სითიხათუნ; ამისთჳსცა ჯერ არს ყოველთა მიერ კრძალვა და ძიება არათუ გარეგანთა მშუენიერებათა, არამედ შინაგანთა, რათა არა წარაგონ სიცოცხლეჲ თჳსი. ყამარბეგს თუცა ეცნა შინაგანი მშუენიერება სითიხათუნისა, ყოვლადვე არა ჰფიქრებდა მისთჳს მოგერაგებულთა მზაკუვრებათა და არცა წარწყმდებოდა, გარნა ვაჲ! რამეთუ იგი ჰსცნა ერთის გარეგანის შესახედავითა სითიხათუნისათა, ვერა მცნობელი შინაგანის სიბოროტისა მ[illegible]სასა.

## დასასრული.

ეჰა სოფელო, დაუდგრომელო, ყოველთა მიმართ შეურჩომელო,
მადლისა კვლით კეთილად ქმნილო, ეშმაკის საფრ-ხით სისხლით დამთხვეულო;
კაცთა სახმარად დაბადებულო, გარნა მათ საფრხედ მიმაქცეველო:
შეჰცვალის სანაცვლოდ მათის ცხოვრების დამარღვე-ველო.
ვის ჰსურს სიწმინდე კეთილ ცხოვრება, მათ შეაბილწებ,
უმანკოს სისხლსა დაცათხეულ-ჰყოფ და შეამწიკვლებ:
შენთა უცნოთა ყრმათა და ჭაბუკთ, შურით აღავსებ,
ქალწულთ დედათა შემაგინები, სიწმიდისაგან გაცა-აწულტუებ.
მთათა ქუაბთ მყოფთა, მეუდაბნოეთ შურთა მიმ-ცემი.
აღძრავ გულის თქმად; ნახონ ოდენდა სოფლისა თემი,
თჳსთა ლოცვათა განშორებულ ჰყოფ, ვითარ გამ-ცემი,
სოფლის ამოხსა მიუჴნებულ ჰყოფ, ძლით გვერ-დსა მცემი.
თუ სადმე კაცთა ადიდებ ათგზის უმეტეს მწუხა-რედ ჰყოფ,
მიუჴან შფოთსა, დაუცხრომელსა, მამამეთ განჰყოფ

ზოგთ გაამდიდრებ, ზოგთა ცხოვრებას სხჳსადმი დაჰყოფ,
მჴრად დაატყჳევებ, მყუდროებითა, დაფარულითაცა საანყმნოდა ჰყოფ.
ესე ქცევანი აწჳევენ თქმულთა ზემო თხრობასა,
ჩვეჳანის საქმით შეჳთხზევენ ფიცხელს თავხედობასა,
ნაცრჭილად შეჳწობისა მიწყენილად ჰყოფენ თჳს მეჳლე-ლობასა
ყოველთ მკითხველთა მათის ჭამბისა მკინებლობასა.
მეც დავსხდი წყნარად ამათოვბის მეტყუჳწლებისა,
ხოცრუის მიხზიჳწლად, გასაკიცხველად, მკითხველებისა:
ხულისა გონების შემმინებელად უშჳწრებისა
სადაცა ვჭმოვლ მაკრივი თჳსის დაბერებისა.
ბებერით დიაცთა ოდენდა შეჳწმნისა მოზდამწერობა,
მამაკაცთა თჳს აუგი არის მისთჳს ღრეობა,
დროსა დაკარგვა, უბრალოს ჩმახვა ცუდი ზნეობა:
მჭხამდა მეფიქრნა ამის სანაცრჭლოდ სხჳარამბრძენობა,
მაგრამ, არ უბრალოდ ვსხთქ ესე ამბავი,
გრძნობლულებისა დამყარობისათჳს ვიწყე იგავი,
რადგან უგრძნობელთ გსრვთ დავთნქმის, ცხოვრების ნავი;
უმეცვეს ჯავნუეთ განუსჯელობით დაჰკარგონ თავი.
ჩჳწნს საუკუნეს ჯჰგონებ არ მჳრობს ესე თხრობანი
სანჯმწოდა აქჳსთ ქალთა და ყმელთა თჳსნი გრძნობანი:
მაშ მართებს კარგად ფიქრნი და ჭსჯანი, შემდგომ ტრფობანი:
გარეგან მორთჳამ, შინაგან ფარულ არგჳცეს გრნებანი.

თ. დ. ციცი-შჳლი.

---

7.

## სიტყუა, ნაბრძანები ჴ ე ლ მ წ ი ფ ი ს ი მ-პ ე რ ა ტ ო რ ი ს ა გ ა ნ, მოსკოვის საკეთილო-შობილო წინამძღვართადმი, აგვისტოს 3, — 1858 წელსა. —

(გაზეთი «Кавказъ. № 88.)

---

ჩემთჳს უკუალნო, ყოველთჳს სასიამოვნოა, რომლესაც შესაძლებელია განვიცხადებდე მადლობასა, გარნა უსინდისოთ ლაპარაკი, არ არის ჩემი თჳსება. მე ყოველთჳს ვამბობ მართალს, და სამწუხაროდ ჩემდა, ახლა არ შემიძლიან გითხრათ მადლობა! გახსოვთ თქუენ, რომლესაც მე, ორის წლის წინათ ამისა, თჳთან ამ ოთახში გეტყოდით მას, რომ ადრე იქნება თუ გჳან უნდა შეჰყუდგეთ ცვლილებასა ბატონყმობის უკულებათა, და უმჯობეს არის დაწყება თავით, ვიდრე ბოლოთგან. სიტყუანი ჩემნი იყვნენ გაუგებელ. შემდგომ ამისა ამაზედ დიდ ხანს ვფიქრობდი, და ვილოცე და ღმერთი, გაბედვით შეჰყუდგე საქმესა. რომლესაც, თხოვნისამებრ პეტერბურგის და ლიტოვის კეთილშობილთა, მიეცა ჩემგნით რესკრიპტი, მე, სწორედ გითხრა, მეგონა რომ მოსკოვის

კეთილშობილნი ყოველთჳს პირველად მოსთხოვდნენ ამ განზრახვის შესრულებასა; გარნა გამოაცხადეს თანხმობა ნოვგოროდელთა, ხოლო მოსკოვის გუბერნიამ არა პირველად აღიარა, არცა შემდეგ, თითქმის არცა მესამედ. ამან მე დიდად შემაწუხა, ამისთჳს რომ მე საკუთრად მაქუს, რომ დავბადე-ბულვარ მოსკოვში, ყოველთჳს მიყვარდა მოსკოვი, რომლისაც ვიყავი მემკჳდრე, მიყვარს ახლა, როგორც ჩემი სამშობლო. მე დავიწყებ ჵ არაოდეს არ მოვეშვები ამ საქმეს. აქ კ ე ლ მ წ ი ფ ე მ ინება განმეორება იმისი, რაცა მოხსენებულ არიან რეს-კრიპტში). მე მიყვარს კეთილშობილება, მიმაჩნია პირველ დამცველად ტახტისა. მე მსურს სამოქა-ლაქო კეთილი, გარნა არა მსურს რომ იყოს საზი-ანოდ თქუენდა, ყოველთჳს მზათა ვარ ვიდგე თქუენს მაგიერ; გარნა თქუენ, თქუენისავე საკეთე-ბლობისათჳს, უნდა ცდილობდეთ, რომ დარჩნენ კეთილმდგომარეობითი უმანი: მოიგონეთ, რომ მოს-კოვის გუბერნიის ვაჭრებს მრთელი რუსეთი. მე მზათა ვარ ვქმნა თქუენთჳს, რაიცა შემიძლიან, მამეცით შეძლება, რომ დავდგე თქუენთჳს. გესმით თუ არა, ვაჭარნო? მე მესმის, რომ კამიტეტს ბე-ვრი საქმე გაუკეთება. წამიკითხავს, ზოგი ერთი იმათი საქმეთაგანი, ბევრი მიმჩნია რომ კარგად შედგენილა, მხოლოდ ერთი შევნიშნე: უმეტესის სახლ-კართანობაზე. მე სახლ-კართანობა გლეხისა მგო-ნია არა ერთი ოდენ სახლ-კარი, არამედ ყოველი სახნავ-სათესი მიწა. კიდევ ვიმეორებ, ვაჭარნო,

მოიქცეოდეთ ისე, რომ შეუძლოს თქუენს მაგიერ დგომა ყოველგან. მაგითი განამართლებთ, თქუენდამი ჩემს მონდობილებასა.—

---

## კუდიანი ვარსკვლავი და იმისი არა რაიმე მოქმედება ქუეყანაზე.—

---

ვიდრე სამს ოკტომბრამდე, ღრუბელთა შორის ჩნდეყ იხილვებოდა კუდიანი ვარსკვლავი, რომელსაცა უწოდებენ «დ ო ნ ნ ა ტ ი». ხან კუდი და ხან თვითონ ვარსკვლავი ბრწყინავდნენ ცისა სივრცეზედ, გარნა სამს ოკტომბერს მრუდად იყო შესამჩნეველ იმისი ნახვა. ვარსკვლავთ მრიცხველნი არ აცხადებენ გამოჩენდება ვიდრე რომლისმე, თუ დაიკარგება საუკუნეს უვარსკვლავში? გავაცნობთ რა თავის დანიშნულს პირისაკენ, გვინებავთ უკანასკნელად რამდენსამე სიტყვას, იმის არარაიზა მოქმედებაზედ ქუეყანისა: ხალხი იშიშვის, ვითომც გამოჩენა კუდიანის ვარსკვლავისა წინათ გვაუწყებდეს უბედურებასა რისამე მოსვლასა, ეს სულ სიცრუეა, რადგანაც გამოჩენა კუდიანის ვარსკვლავისა, არასოდეს არ მოგვასწავებს, რომელსაცა ვიდრე დავამტკიცებთ:

ვარსკვლავთ მრიცხველთ ისტორიაში ვპოვებთ, მრავალთა კუდიან ვარსკვლავთა გამოჩენასა სხუა

და სხუა დროებში, ამასთანავე სხუა და სხუა დროებში უსასტიკესთა უბედურებათა: ჭირისა, ომიანობისა, ქუეყნების გადაწვასა, შიმშილსა, წყლების ადიდებათა. ავიღოთ მაგალითათ ეს საშინელი უბედურებითი დროები და, ვნახოთ, თუ ვითართა კუდიანთა ვარსკვლავთა აუწყეს წინათვე ხალხთა, ამ უბედურების მოახლოვება და ვითარნი კუდიანნი ვარსკვლავნი ბრწყინავდენ ცაზედ? ნუ გავჰყვებით ქრისტეს დაბადების წინათ დროებსა, მხოლოდ დავიწყოთ, ქრისტეს შობის შემდგომითგან. ისტორია გვიმტკიცებს, რომ მრთელი რომის იმპერია პირველ სამს საუკუნეში ქრისტეს შობის შემდგომ იყო დარღვეული და აოხრებული საშინელის შესაყარითა. ორმოც და ორს წელს ქრისტეს დაბადების შემდგომ კლავდიას მეფობის დროს მოეფინა ყოველგან შესაყარი სნეულება, რომელსაცა ეძახდენ ეგვიპტეს მენტაგრას (ეს სნეულება გამოჩნდებოდა ხოლმე კაცსა სისველის მსგავსად მრთელს ტანზედ, რომლისაგამო ფრიად მოკლეს დროში გაბერავდა ტანსა და მსწრაფლ არჩობდა) რომელიცა უწყლულებდა სნეულს ტანსა, ულპობდა და უფროლებდა. 154 წელსა გამოვიდა ეგვიპტითგან საშინელი შესაყარი, რომელიცა მოედო და მრთელს ევროპასა, ხალხი სწყდიად მიჯანტ-მოჯანტე. ეს სნეულება იმისთანა იყო, რომ ავათმყოფი როგორც გიჟი, რა ვერ უძლებდა სნეულებასა, გაჰვარდებოდა, ტყე-ტყე დარბოდა და ვინ იტყვის იმ საშინელებასა, რაებსაცა სჩადიოდა. ამ სნეულებას ეწოდებოდა ლ ი კ ა ნ-

ტროპია (სნეულება ესე იყო იმ გვარი, — რომ ტყავი სნეულს თჳთ მცირეს დროში ებერებოდა იქამდენ, რომ დასქდებოდა და სრულიად დაერღვეოდა, რომელიცა ფიცხლავე ჰკლავდა). საექიმო ისტორია გვიმტკიცებს, რომ რაც უნდა სასტიკი სნეულება იყვეს, დროება სცვლის და ასუსტებს, ამისთჳს გარდავალს რა შჳლის შჳლათ, ჰკარგავს ძალასა და, ბოლოს სრულებით არცა თუ რასამე ავნებს, ამისთანა ცვლილება დაემართა ძველად ხოლერასა 165 წელსა. მეფობისა დროს ანტონინისა. მრთელი შჳდი წელიწადი იყო ყოველგან საშინელი ჭირი, არ გაუვლია ოცს წელს, რომ მრთელი იტალია იყო აოხრებულ ამ სნეულებითა: მესამე ნაწილი ხალხისა, იყო გაწყვეტილ ამ სნეულებით, რომელიცა გადავიდა რა რომში ჰკლავდა დღეში ორი ათასს კაცს. ნახევარს მესამეს საუკუნისასა, ვალერიანის მეფობის დროს გამოჩნდა კვალად ჭირი და თხუთმეტის წლის განმავლობაში მოქმედებდა ეს სასტიკი სნეულება, ისე რომ მრთელი ხალხი შეიმოსა თალხად. 312 წელსა, ჭირი გამოვიდა რა კვალად ეგვიპტითგან, გადავიდა იტალიაში, ხოლო შემდგომ საბერძნეთში, სადაცა ისე მოსპო ხალხი, რომ არცა ერთი სული მორჩენია. ამ საშინელი წელიწადების განმავლობაში, ვარსკვლავთ მრიცხველთ არცა ერთი ქუდიანი ვარსკვლავი, არ შეუნიშნავთ ცისა სივრცეზე და არცა ამ დროების წინათ გამოჩენილან.

524 წელსა, გამოჩნდა კაცთა მიწასთან გამასწ-

წოდებული ჭირი, რომელიცა აჴლებდა მჴხრს ევ-როპაში, თითქმის ორმოც და ათ წლამდეს. ამასთანავე იყო ფრიადი სიმშილი, რომელიცა ჩამოაგდებს ცალკე კალაათა და ცალკე ჭირის შიშით,—ხალხთა. ამ წლების განმავლობაში და არცა წინათ არ გამოჩენილა არა ვითარი ვარსკვლავი; მართალია, გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი 520 წელსა, მაგრამ ეს ვარსკვლავი როგორცა ჰსჩანს წლებითგან შენიშნეს ოთხის წლის წინათ ჭირის გამოჩენისა, მაშასადამე ეს გამოჩენა არ მეუწევბის სნეულებასა; ამასთანავე ვარსკვლავი იყო ისე პატარა, რომ ძნელად იყო შესაძლებელ შენიშვნა. ამ საშინელთა უბედურებათა გამო, ზოგნი ერთნი მაშინდელნი ჩვეულებანი აქამომდეს დარჩნენ ხალხში. შესაყარი რომ შეუდგებოდა კაცსა, პირველად შენიშნავდნენ მაზე, რომ ჯერ მოაყოლებდა დაცემინებასა და დამთქნარებასა, შემდგომს მოაყოლებდა ტანის თრთოლასა, კლანჭესა და იქამდის მიასუსტებდა, რომ მსწრაფლ მოჰკლავდა. როდესაც ნახა რომის პაპამ დიდმან გრიგორიმ, რომ მეტად ახირებით იხოცებოდა ხალხი, მაშინ დასდვა კანონათ, შემდგომა: შესაყარის მოახლოვების დროს, ესე იგი დროსა დამთქნარებისასა, სნეულს უნდა დაეწერა პირსჯვარი, ხოლო დაცემინების დროს გარს მყოფთა და მსმენელთა უნდა ეთქვათ სნეულისათვის: «ღმრთის წყალობით იყავნ განთავისუფლებული» ანუ «შეგეწიოს ღმერთი» აქედგან ცხადად ჰსჩანს, რომ მაშინდელი ჩვეულება დარჩა ჩუენში

აქამომდე.

არ გაჳვლით ორს საუკუნეს, როდესაც რომ 717 წელს გაჩნდა დასავლეთისაკენ საშინელი შესაყარი სნეულება, რომელმაცა მარტო კონსტანტინოპოლში შთანთქო სამასი ათასი კაცი. ამ წლების განმავლობაში არცა ერთი ვარსკვლავი არ გამოჩენილა ცაზედ.

874 წელსა, მრთელს ევროპაში გაჩნდა ისეთი კალია, რომ ჰაერს აბნელებდა და ერთს ადლზედ ზოგ ერთს ალაგს კვდარნი ეყარნენ. წვიმებმა ისე დაალპეს ეს მკვდარი კალია, რომ რა ავარდა საძაგელი სუნი, კვალად გაჩნდა სნეულება და დანთქუა მრავალი კაცი. არცა ამ დროებში შეუნიშნავთ კუდიანი ვარსკვლავი. მართალია გამოჩნდა კამეტა 876 წელსა, მაგრამ ეს გამოჩენა იყო ერთის წლის შემდგომ ამ საშინელის უბედურებისა.

996 წელსა, გამოჩნდა ევროპაში უცნაური სნეულება, რომელსაცა ეძახდნენ საოცარს სახელს «წ მ ი ნ დ ა ც ე ც ხ ლ ი» ისტორია მოგვითხრობს რომ ეს ცის მრისხანება თჳთ უსასტიკეს სისწრაფით მოედო თურმე მრთელს ქუეყანას; თჳთან სნეულება თუმცა იყო მსწრაფი, გარნა ტანჯვა ჰქონდა აუტანელი, რომელიცა მსწრაფლად მოედებოდა მრთელს სხეულს და რამდენსამე წამში შესწვავდა მრთელს ტანსა კაცისასა. ესეც მოხვდებოდა ხოლმე, რომ ცეცხლი ზოგსა შეუწვავდა რომელსამე ასოს: ჴელსა, ფეხსა, თუ სხ. უცებ-გაუშავდებოდა და შემდგომს მკვალიანად მოვარდებოდა ტანსა. სნეულება

ესე დიდ ხანს ინთქუამდა კაცობრიობასა; ბოლოს დაკარგა ამ სნეულებამ თავისი ძალა და შეიცვალა სხუა სნეულებად, რომელსაცა ახლა ემახიან «ა ნ ტ ო ნ ი ს ც ე ც ხ ლ ს.» იმ საშინელის სნეულებისა გამო, ხალხი ანებებდა თავსა, მამულსაცა, ყოველსავე ქონებასაცა და მიეშურებოდნენ იერუსალიმისაკენ, სადაცა ითხოვდნენ ღუთისგან შემწეობასა. ამ დროებში გამოჩნდნენ ორნი კუდიანნი-ვარსკვლავნი, რომელნიცა იყვნენ ფრიად დიდნი, ამასთანავე მნათობულნი. მაგრამ პირველი იმათგანი გამოჩნდა 983 წელსა, მაშასადამე ცამეტის წლის წინათ უბედურებისა, ხოლო მეორე 1005 წელსა, მაშასადამე ცხრის წლის შემდგომ.

1092 წელსა მოედო ქუეყანას კვალად მისწრაფელ მომავლინებელი სნეულება, ამასთანავე პარუტჭკუთა ჭირი, რომელიცა მოქმედებდა ხუთს წელს; ყოველნი ფიქრობდნენ წარღვნის მოახლოვებასა. რამდენსამე კვირაში, იერუსალიმში დაიხოცა ხუთას კაცამდენ; მრთელი ანტიოხის ქალაქში მცხოვრებნი მოისპნენ, ორასი ათასი კაცი დამქრის სრულიად ამოიხოცა; კვალად ევროპიითგან გამოგზავნილი ჯვარი შემდგარი ოც და ხუთის ათასის კაცისაგან რამდენიმე დღეში გაიყლიტა, ამ დროებში აღმოჩნდნენ კვალად ორნი ვარსკვლავნი; 1071 და 1097 წელიწადებში, მაშასადამე ერთი იმათგანი ოც და ერთის წლის წინათ უბედურებისა, ხოლო მეორე ხუთის წლის შემდგომ საშინელის შესაყარის სნეულებისა.

1347 წელსა, აზიიდგან გამოვიდა ევროპაში თჳთ უსაშინელესი ჭირი, რომელსაცა ეძახდნენ «შ ა ვ ს ს ი კ ვ დ ი ლ ს», არცა ერთი ქუეყანა არ დარჩომია აუხრწებელად, ჯერ პირველ წელიწადებში მოქმედებდა ზღუფბის პირას, გარნა 1348 წელს, გადავიდა ყოველგან, აძრწუნებდა ხალხსა, მიწის მხვნელთა დაუტევეს სახლკარი, გუთანი და სხ. მირბოდნენ ტყეებში, ყანები რჩებოდა მოუმკავი, ხალხში მოისპო სიყვარული, ძმა აღარა ჰსცნობდა ძმასა, შვილი დედასა, დედა-შვილსა, ნათესავი ნათესავსა, ერთი ერთმანეთს ვეღარ უდგებოდნენ და მირბოდნენ ვინ იცის საითკენ. ზოგიერთს ქალაქში იხოცებოდნენ დღეში ოცი ათასი, ზოგი ქალაქი, თუ სოფელი სრულებით მოისპო, რამდენნი მეფენი და დედოფალნი შეიქმნენ მსხვერპლად ჭირისა. ვარსკვლავთ მრიცხველნი ამ დროებში გვაჩვენებენ ორთა დიდთა ვარსკვლავთა, 1347 და 1357 წელიწადებში, აჲ საიდან დაიბადა და წარმოდგა ხალხში ჩვეულება დარწმუნებისა. რადგანაც ამ ორთა ვარსკვლავთაგანნი ერთი გამოჩნდა უბედურების დროს, ხოლო მეორე უბედურების შემდგომს. ძველთა კაცთა აზრით, ორნი კუდიანნი ვარსკვლავნი ყოფილან ნიშნად უბედურებისა და ბედნიერებისა,—

1546 წელსა, სომხეთში გაჩნდა საშინელი ჭირი. ეს ჭირი გამოვიდა კიტაიიდგან, სადაცა გაწყვიტა ოცი და ათი მილლიონი კაცი. აქედან გადავიდა ფრანციაში, იტალიაში და გერმანიაში, რომელშიაც მრავალი ქალაქი დაცარიელდა. ლონდონის

ქალაქში, სასაფლაოზედ იყო დამარხული ორმოც და ათი ათასი კაცი, პარიჟში, იმედ გარდაწყვეტილი და გულ-დამწვარი ხალხი ჰთხოვდა მთავრობასა, ურიების გაწყვეტასა, ჰგონებდნენ რა, რომ ვითომც იმათის ცოდვით მოსდიოდათ, ანუ ვითომც ჰყრიდენ საწამლავსა მდინარეში. ისე გაცხოვლდა სნეულება და სიკვდილი რომ ერთს კუბოში ასვენებდენ ორსა და სამსა, ყოველი მღუდელი თავის ეკკლესიაში ყოველს დღეში ჰპოვებდა ორმოცამდენ კუბოს, მკუდრებით სავსეს: სასაფლაოზე არ იყო ადგილი დამარხვისა, მიჰქონდათ და ტყეში მარხავდენ; გულის მოყვარენი კაცნი ერთგულად მარხავდნენ რა გაჰქონდათ ქალაქითგან, მაგრამ ბოლოს ესენიც შეშინდნენ, რა რომ ნახეს თავიანთ ამქარისანიც იყლიტებოდნენ. მრავალთ დაუტევეს ქალაქები და შესდგებოდნენ ბერებად, თუ მონაზნებად. ყოველგან, სადაც კი გადაწყდებოდა ჭირი, იქ მაშინვე ხალხი კვალად დაიწყებდა განმრავლებასა, ასეა ესე ბუნება! ეს საშინელი უბედურება, არ იყო წინათვე მაუწყებელი კუდიან-ვარსკვლავითა?

დასასრულს ავიღოთ 1830 წელიწადი, რომელშიაც გაჩნდა საშინელი ხოლერა, აბა რომელი კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა იმ საშინელს უბედურების წინათ? უბედურებაც და ბედნიერებაც არის კელთა შინა განგებისათა. კუდიანნი ვარსკვლავნი, როგორც სხუანნი პლანეტნი მიმავლობენ თავიანთს ხაზზედ, უზენაესის დაწყობით და არა რაჲ მოქმედებს აქუსთ ქვეყანაზე. —

ი. კ.

## ატლანტიის ოკიანეს ზღვაში.

### ტელეგრაფი.

---

აჲ რა არის კარგი ჰსწავლა და განათლება? კარგი განათლებული კაცის გონება ვეღარ დასცხრება, თუ იმან სარგებლობა არა შესძღვნარა კაცობრიობას; აბა მივიხედ-მოვიხედოთ და ქვეყანას თვალი გადავავლოთ, რა ამბავია! რა საკვირველი საგნები იბადება განათლებულის კაცებისაგან კაცის სარგებლობისათჳს!

სხუა საკჳრველთა საქმეთა შემდგომს, ატლანტის ოკიანეს ტელეგრაფიც მოიგონეს, ვალენსიიდგან ნიუ-ფოუნდლენდისინ, სადაც რავდენიმე ათასი ვერსთა. ამ ატლანტიის ოკიანეში, კიდით-კიდემდისინ, ამ განიერს ზღვის ქვეშ, გაუვლიათ ტელეგრაფის მავთული, საიდგანაც 99-ი სიტყვა 67-სა მინუტში მიდის ანგლიიდგან ამერიკას (ვალენსიის ქალაქიდგან ნიუ-ფოუნდლენდისინ) და იქიდგანაც პასუხი მოდის, ეგოდენსავე დროს.

ისპანიის საზოგადოებისაგან ამოჩემებული კოლუმბი; იმათგან გიჟათ დასახული, იმათგან დატანჯული: როგორ ბედავ ამბობ შენ, ახალი ქვეყანა ჲოის სადმე, გიჟო კოლუმბოვო. რა არ უყვეს ამ საკჳრველს კაცს მაშინდელმა ისპანიელებმა. მნელია გაუგებელი საზოგადოება ქვეყნისათჳს, თუ თავის საზოგადოობის შემატებას ვერას ხედავს

კარგს და თვითეულნი თავთავის სარგებლობას ეძებენ მხოლოდ. ამისთანა საზოგადოებას ეტყჳს ისტორია: წყალწაღებული!

თავის დიდის მოთმინებით, დიდსულოვნობით და ძლიერის ხასიათით დათრგუნა თავისი წინააღმდეგები კოლუმბმა; ხომალდებით შესცურდა უკიანეს ზღვაში და დიდის ღვაწლით იპოვა ახალი ქვეყანა, — ამერიკა. ამერიკა იყო მაშინ ველურის ხალხით სავსე, ეხლა არის საკვირველი ამერიკა! სადაც ღრმა მეცნიერება სუფევს და უპირველესი განათლება!

წარსულებისასა აღარას ვიტყვი, ეხლახანს ამ ამერიკის ქვეყნიდგან გამოვიდნენ კაცნი გონიერნი, მეცნიერებით სრულნი, რომელთაცა როგორცა ვთქვ, ატლანტიის უკიანეში გაატარეს ტელეგრაფის მართული და მთელს ქვეყანას შესძღვნეს დიდი სარგებლობა!...

აბა ნუ გვიკვირვებთ, განათლებული კაცის გონება რა არის, ზღვის ქვეშაც ტელეგრაფს ავლებენ, ნამეტნავად იმ სიღრმეში და იმ სიშორეთ!

თ. ალ. ჭ. ორბელიანი.

# სალაყბოს ფურცელი.

---

მიზეზი მოლაყბის გაჩუმებისა. — მოლაყბის გულის და სულის ყოფნა ქართველებთან. — საკუთრებით სარგებლობაზე და საზოგადოზე ლაყბობა. — ზოგიერთ კაცთა მახინჯობა ლაპა-რაკით. — გარჩევა «ცისკრის» და დიდის ცის-კრისა შორის. — საკუთრებითი სარგებლობა და იმისი ბოროტებება. — მოლაყბის მოგზაურობა ტფილისში და ქართველის ძებნა. — ქართველთ ფენომენისაგან მოლაყბის მიღება. — ქართველი და არა ქართველი. — მოლაყბე და სომეხი. — სთველი ჯულებისა კლუბში. — მოლაყბისაგან ჩინებულის სტატიის თარგმნა. — «ცისკარი» და თაგვები. — ქართველთ მოწოდება კეთილს საქმეზე მოლაყბისაგან. — მომავალის ახალ-წე-წადისაგან სანუგეშო იმედი. —

---

დიდი ხანია არა მქონია ბედნიერება თქჳენთან საუბრისა, — მკითხავთ: რასათჳს დაგვივიწყეთ საყვა-

ვარელნი, ჩემის გულითგან და გონებითგან განუშორ-
ებელნი ქართველნი? თუმცა აქამდის თქუენთან
არ მისაუბრნია, — ჩემის საზოგადოების მიხედვითა
ვსთქუათ, არ მილაყბია; მაგრამ გარწმუნებთ რო-
გორც გულგრილი ქართველი, გრძნობა გაციებული
ქართლოსიანი, რომ ყოველივე ჩემი გონება, გრძ-
ნობა, გული და სული ყოფილა თქუენთან, მამას-
დამე უტანჯია და უქენჯნია ჩუენის მშვენიერის
თჳსების ყურებით!!! აჲ კიდევ გამიტაცა ჩუეულე-
ბრივ ლაყბობით იმ წყეულმა აზრმა, რა აზრითაც
იტანჯება ჩემი გული, ჩემი გრძნობა, ჩემი სული,
მიყრიან შუბებს, გული იმსჭუალება და რადგანაც
ღონის-ძიება არ საიდგან არის განკურნებისა,
ამისათჳს ისევე ჰსჯობს დაუტევო ის აზრი და შე-
ვუდგე სხუა აზრს, სხუა საგანს?... მაგრამ მაინც
კიდევ არ გითხარით მიზეზი ჩემის ხმა გაკმენდისა,
არ გიკჳრთ რომ გაჩუმდი, მე და თქუენ რომ
ვიცით, — იმისავით! ასე გახლავან ქართველები.
სადაც ჰნახავთ, რომ საკუთრებითი სარგებლობა
არის რამე; სადაც კი ჰნახავთ, რომ თაფლი სცხია,
მივესევით ბუზებსავით, ვეცილებით ერთი-ერთმანეთს;
ვამტვრევთ თავებს, ვეწევით უკან და ვაჲ იმისი
კისრის ბრალი, რომელსაც კი ერთი ლუკმა მოამა-
ტებული მოუვა. შენი მტერი?... თქუენ რა გგონი-
ათ. — მე ვიცი იმ გვარნი კაცნი, და რა მარტო მე!
გონია თჳთან თქუენც კარგათ ხედავდით, თითქმის
ყოველს დღეს, ყოველს საათს და ყოველს წამს იმ გვართა
კაცთა, რომელთაცა უბა გვერდზედა აქუსთ მოქცეული.

ესეც არ არის საკვირველი, რომ არ იცოდეთ მიზეზი ამ გვარის მახინჯობისა? ცხადია, ან ერთის მტკაველს ალაგზე უყვირჩია, უდავოა და ამის მიზეზით უბა კი არა, კისერიც მოგრეხია, ან უნახავს თავისი მოძმე ქართველი დაწინაურებული თავისის მეცადინეობით და იმაზე თავის მზგავს კაცთან მეტად და სი-მურით ლაპარაკით უბა სასწორის ხაზს მოშორებია! ახლა საზოგადო საქმე რომ იყოს! იქ გავჩუმდებით, თითქოს ვერასდროს ვერას ვხედავდეთ; სმენასაც ცოტათი შევიმსუბუქებთ. ასე გახლავსთ! ამისათვის რომ საკუთრებითი სარგებლობა არ არის. საკუთრებითის სარგებლობისათვის ბევრი კმაყოფილება წარმოდგება: საკუთრებითი სარგებლობა იქნება, წავალ თეატრში, რომ ვერც რა შევიტყო რა და ვერც რა გავიგო! მხოლოდ სხვების მიბაძვით, რომ მნახონ მეც იქა ვარ!... საკუთრებითი სარგებლობა იქნება, ჩავჯდები დროშკაში, ანუ ფაეტონში დინჯი შემოუვლი, პაპიროზი პირში, ყურთ-მაჯით შეკრული ქართულურად და ქუდი გვერდზე, გავირბენ და გამოვირბენ ბულვარის წინ, მეგობრებს დავინახავ და თქვენ: ლახე რა ბიჭი გამოვიდა, ეს ისეთი კაცია, რომელსაც ვერც ერთი მეტოქე, წინ ვერ დაუდგებოდა!... მოდი და ახლა თქვენ საზოგადო სასარგებლოს საქმეს ყურადღება მიაქციე, საიდგანაც ჩვენის საზოგადოს აზრით, ვერც დროშკით ვნახავთ კმაყოფილებას, ვერც თეატრით, ვერც ბალით და ვერც ვერაფრით! რა საკვირველია, რომ სხვათა ქვეყნის ხალხთა არა თქვენ,

დახე რა ხალხნი არიანო. თავიანთს ენაზე ყოველი ფერი აქვსთო. მთავრობის კეთილის განზრახვის მადლობელნი არიანო!... ერთის სიტყვით, სადაცა ვხედავთ საზოგადოდ სასარგებლო საქმეს, იქ არცა ხმას ამოვიღებთ და არცა კეთილათ ვილაპარაკებთ. ისე გვეჩვენება თითქოს არაფერს ვხედავდეთ. აჲ მაგალითი: ერთს ქართველსა ჰკითხეს «ცისკარი» არ გინახავსო? მეათესაათზე ვლეკვი და ხელ ვნახავლიო, მიუგო ქართველმა, ან რა საჭირო არის ნახვაო. ქართველმა იფიქრა, უთუოთ კუდიანი ვ'რს-კვლავსავით იმასაც კუდი რამ გამოსვლიაო, თორემ ეს კაცი მე არა მკითხავდა, თუ იმ დილის ცისკარში არა შეენიშნოთ რაო, იმ ღამეს რა შინ მივიდა, მრთელი ღამე არ დაუძინია, ერთი გათენდეს დილა, ვნახო რა ამბავი დამართვიაო, ადგა, შეხედა, ცისკარი თავისავე ალაგზე სდგას და ისევე ბრწყინვალებს, არა ეგრე, როგორც ჩვენი სამშობლო ცისკარი ქართველების მოხსენებით და ნუგეშით!... აჲ, რა ძალსა თამაშობს ჩვენში საზოგადო კეთილი განზრახვა!!! ეს ყოველმა სულმა კარგათ იცის, რომ რომელსაც საზოგადოზე ვზრუნავთ რაზედმე, ეს უეჭველად კეთილი საქმეა; რომელსაც რომ საკუთრებაზე ვიტვირთევთ თავებს, გარწმუნებთ რომ ყოველივე ბოროტება აქედგან წარმოდგება. რადგანაც უმეტესად ვზრუნავთ და ვმეცადინეობთ საკუთრებაზე, ამისათვის ბოროტებაც ხშირია ჩვენში. რომელსაც ბოროტება აღმოიხო-ცება ჩვენში, მაშინ ყოველი საქმე რიგიანათ წავა

კარგა რამ მომაგონდა. წარსულს კვირეს, მრთელი ტფილისი მოვიარე (კუკიის არ მოგახსენებთ, ჯერ ის ქალაქის სიაში არ არის შემოსული,) და ერთი ნამდვილი ქართველი ვერ ვიპოვნე. ეს როგორაც ჰსჩანს, ეზოპესავით მამივიდა, რომელსაც რომ ის წარჩინებული ზღაპართ მწერალი, ხელადვლა რა ოთხკუთხივ თავის ქვეყანაში ბოროტებასა, იტვირთა ჴელში ანთებული ფარანი და შუადღისას ბაზარ-ბაზარ, ქუჩა-ქუჩა საიარულით კაცს დაეძებდა. რა დაბრუნდა შინ, დაახეთქა ფარანი და დაიყვირა: აჲ ქვეყანის უბედურებავ! მრთელი დღე ვიარე ქალაქში, ყურადღებით კაცს დავეძებდი და ვერცა ერთი ნამდვილი კაცი ვერა ვპოვე. — იყო ორშაფათი, საათის მეცხრე, თუ მეათე, როდესაც წარმომიდგა ეს ჰაზრი. ეზოპეს კაცი უძებნია და მოდი მე ქართველს დაუწყებ ძებნასა მეთქი. ავდექი წყნარიად ქართულურად, ზღაზვნით, ზმორებით ფეხზე და გავწიე კუკიის ხიდისაკენ, საიდგანაც მინდოდა მოგზაურობის დაწყობა: ყაბახზე გავიარე, მოდი ჯერ ერთი შევხედო, წარჩინებულები ქართველთა ფენომენსა მეთქი. მივედი კრძალვით, შიშით, თავაზით და დავუკაკუნე კარი. ვხედავ არავინ მიღებს კარს, ოთხკუთხივ ვიხედები, არა ვინა ჰსჩანს, ბოლოს ავიხედე ვნახე, რომ თურმე ზარის დარეკა ნდომებიათ შიგ მდგომთ. ცოტათი გაჯავრებულიც გახლდით, რადგანაც კარგა ხანი ვიდექ კარში, მოვკიდე ჴელი და რაც ძალი მქონდა ჩამოვწკარუნე. ვნახოთ გამიღო კარი ერთმა უსაკვირველესმან პირმა, ანუ უსაკვირველესმა,

რომ ამ საათში ენახა ჩუენს უწარჩინებულეს პო-
ეტს რუსთაველს მოჩვენება ეგონებოდა და პირ-
ჯვარს დაიწერდა. ვნახე კაცი, ეცუა იმისთანა შა-
ლვარი, რომელშიაც ინდოურის ჯუხი მწელად ჩაიწყე-
დება, კაბა ეცუა (ვსთქუათ ქართულურად, და თუ
რუსულად ინებებთ, მგონია ფრაკი გახლავსთ.)
შულიანი, წინ სულ ღია ჰქონდა და უკან ერთი
თუ ორი განზანდრის ადლი გაეგრძელებინა, ლო-
უაზე აქეთ და იქით თეთრი, მგონია ქაღალდი იყო
აეკრა და კისერიც არ იყო, გაეშეშებინა. მე ფრან-
ცუზი მეგონა, და ამისათჳს ვკითხე: მუსიო! ჩუენი
ფენომენი შინა ზმანდება მეთქი, მაგრამ! ოხ! სა-
კჳრველებაო! რუსულად მომიგო: სმანავსო. ახლა
თქუენ ეს პირი, გინდა ქართველად მიიღეთ, გინდა
ფრანცუზად, მე კი ჩემის ჰაზრით ასე ვიფიქრე,
რომ იყო ქართველი და არა ქართველი, ასე რომ
იმ საათში მეორეს ოთახითგან გამოყო ქართულ
ტანისამოსიანმა, რომელსაცა თავზედ კარტუზი
ეხურა და შეუზახა: მიმაგიცხონდა რუსულათ ილაპა-
რაკე, როდესაც რომ სწორეთ პურის საკმელიც არ
იცოო. აქ ვიფიქრე. ვაჲ დროებავ, რა ხარ! შევი-
თვისებთ იმ ენას, რომელს ენაზედაც გაგაკეთებთ
აურაცხელს შეცთომას, მხოლოდ ამისათჳს, რომ
ჰსთქვან განათლებულიაო! კარგი განათლება გახლა-
ვსთ მამათა-პაპათათი ლაპარაკი. არიან იმ გვარნი
პირნი, რომელნიცა რამდენსამე ენას ჰსწავლობენ
და არცა ერთის ენის ლაპარაკი რიგიანათ
იციან, თავისასაც ჰკარგვენ და ვერცა სხუას იგებენ

აწე გახლავართ, აზ-ბუკა რაკი გისწავლეთ, უმეც-ლად გვყოფნია მინისტრები შეგიქნებით, სომხისა არ იქნებს, მახლას!... ამ ლაპარაკში და დაცინვაში რომ გახლდნენ ეს ჩვენი არა ქართველნი, თუ გნებავსთ კატაკა, ფრანცუზნი, გამოვიდა ოთახიდგან ხმა «ეი! მე ფიცხლავე მივხვდი, უთუოთ ბატონმა გაიღვიძა მეთქი. მე გარწმუნებთ რომ საწყალი მეფე ირაკლიც არ იქცეოდა ისე ამპარტავნებით როგორც ეს ჩვენი ბატონი, რომლის მიზეზითაც ვამდლევ ამ დიდს იმის თავის მოყვარეობისათვის ამ საკულს. ბიჭს დავაბარე, მოახსენე რომ საწყალი თქვენი ლამზადნდარა, გახლავსთ სალაყბოთგან ეს-ეს არის მოსულა-მეთქი და ლაყბობა მისდომნია კეთილს საქმეზედან მეთქი. პატარას ხანს უკან ბიჭი გამოვიდა და მითხრა: ბატონმა ბძანა, ეხლა არა მცალიან, იმ კეთილის-საქმისათვის, რისა-თვისაც მოსულა. ის სალაყბო მეიდანი დიდი ხანია მოიშალა, იქაურნი მოქმედნი პირნი, ჯამბაზებითაც აღარ კარგიან და იმათი ტაკი მასხარა რა იქმნება. მე აქ მივხვდი რომ არა თუ ლაყბობის საკულის წოდება, ტაკი მასხარაც გამხადა, ვიფიქრე, ისევ ჩამოვეცალო წავიდე ჩემს გზაზედ თორემ, თუ აგ-ხირდი, უთუოთ ძალათ გამაგდებენ მეთქი, ავდექი და ბუტბუტით გამოველი, კარი ფიცხლავე მამაკე-ტეს, ისე მამაკეტეს, რომ ჩემმა ზურგმა როგორღაც ტკივილი იგრძნო!... აჱ საფუძველი ქართველებისა, აჱ ნუგეში, აჱ საიდგან წარმოსდგება წარმატება საწყლის ენისა, რომლისათვისაც ზრუნავს უბადლესი

მთავრობა, მწუხარებით ვფიქრობდი ამას და მოვდიოდი ყაბანზე, სადაც უცებ შევეჯეთე ერთს ტიკსავით გაბერილს სომეხს, რომელსაც რა ცხვირი ცხვირს მივარტყი გამოველი სამწუხაროს ფიქრითგან. ამ პატიოსანს სომეხს ადრევე ვიცნობდი და დაუწყე ლაპარაკი. პარუნ მანასჯან, ერთი ქუ მატად მამეხმარე მეთქი!... ის გაოცდა, რა გასჭირვებია ასეთიო, პირი დააღო და მიპასუხა: ვა! ახარ ემე რა გინდა ჩემგანაო! არაჶერი არ მინდა შენგან, დღეს გამოვსულვარ იმ ჭაზრით, რომ ქართველებს დავეძებ მეთქი, და თუ ვიპოვნე სადმე რომელიმე ქართველი ამაღამ ვეჩერში მინდა დავპატიჟო მეთქი. არა ქუ მატად, ოღონდ ქართველებში ნუ გამრევ და სხვა ემე რაც გინდა მთხოვეო. ქართველებისგან დიდი ხანია გული დაჩაგრული მაქვსო. მე აქ ვიპოვნე კარგი შემთხვევა თხოვნისა და ვუთხარი: ეს მაინც მიყავი პარუნჯან, ჩვენს «ცისკარზე» კელი მოაწერე მეთქი, აჲ დაადო აქ მეორეთ პირი და მითხრა: ვა! ახარ შემწეობაა, ჩვენს ემე კაზეთს შევეწიოვო... ამ სიტყვაზე ისე გამაჩუმა, რომ... სომეხები არიან და ქართველები არსად, ვიტყოდი და ამოვემართე კლუბს, თავდახრით შევედი მოქადალდეთ წალკოტში, რომელშიაც ამ ხანობით იყო გაჩაღებული სთველი ფულებისა, დაობდენ, ართმევდენ, იტაცებდნენ და იმისთანა ზახილი იყო რომ, თავათავე შერყეული ჩემი გონება, უფრო შეირყევა. მე ვედარ გავუძელი ესრეთს ყაყანს, ქართველიც დამავიწყდა და სომეხიც, თავიც დამავიწყდა და ბედიც

ქართველოა, ავდექი და შევედი იმ ოთახში, სადაცა გაზეთებსა კითხულობენ. პირველადვე ჩუენს «ცის-კარს» მოვავლე თვალი, ამ დროებით «ცისკარი» შექმნილიყო თაგვებისა საზრდოდ. ეს კიდევ არაფე-რი, ერთს ალაგსა ვნახე დაეშალათ და ფანჯრებზედ გაეკრათ. ამის ნახვაზე, დავდექი, ფუფრე და შევნიშნე რომ ლოყები დამსველებოდა ცრემლით; არ იყო კიდეც, რომ გული როგორღაც მეწოდა. საწყალო-ბელნი: რუსთველი, ჩახრუხა და სხ. განა ამისათჳს ცდილობდენ ენის აღუვავებისათჳს, რომ ამისთანა ხვედრი დასცემოდა იმათ შვილის-შვილთაგან? განა ამისათჳს დღე და ღამე აწუალებდენ, რომ ჩუენის მოხებით და წყალობით მიწასთან გასწორებული იყო იმათი საყვარელი ენა?.... «ცისკარი» ისევე მივანებე თაგვთა გასაწეწავად და მე დაუბრუნდი სხუათა ენის გაზეთებს, იმათგანში რადგანც ერთი ახალი იყო, ავიღე და მოვყევი კითხვას. სხუათა სტატიათა შო-რის, იყო ღირსი შენიშვნისა, ერთი სტატია» სიტყვა მისის იმპერატორებითის დიდებუ-ლებისა, მოსკოვის კეთილშობილთადმი. ამ სტა-ტიის წაკითხვაზე ყოველი ჩემი გონება, სული, გული და თჳთოეული ასო გარდაიქცა გრძნობად და ვიძახდი: რად არ შემიძლიან სიცოცხლე ჩემი შე-ვსწირო მას, რომელსაცა ჩემის შეწირვით შეეძლოს აღსრულებაში მოუყვანა კეთილისა იმ გან-ზრახვისა, რომლისათჳსაც დაუცხრომელად ზრუნავს მეთქი, მაგრამ წარმომიდგა რა, რომ ყოველი კაცი უნდა ცდილობდეს თავის შესაგვარად, ფიცხლავე

მოვკვდე კვლა კალამსა, გადმოვთარგმნე და იმ საათს გავუგზავნე «ცისკრის» რედაკტორს, რომელიცა არა მაქუს ეჭვი, რომ დაბეჭდავს. წარიკითხავთ და იქი-თგან ჰსცნობთ ჩუენს საზოგადოს მამას, იმ მამას რომლისათჳსაც მოკვდენი ვართ არას დავზოგავდეთ.. . ქართველნო! თუ ხართ სადმე, ჯერ კი ვერ მიპოვ-ნიხართ და თუ გიპოვნეთ, თქუენი ძველად ხასიათი იყო, არა თუ ქონებას მეფისათჳს, სიცოცხლეს შესწირავდით; არა თუ თავსა. აკვნის უმაწჳლსაცა გამოიყვანდით და მეფის ჰაზრს არ უარს ჰყოფდით. სად არის ძველებური ქრე ხასიათი. ჩუენი დიდ მეფე შეუდგომია იმისთანას საზოგადოს კეთილს ჰაზრს, რომელზედაც ჰკიდობს მთელი ქუეყანა. რას მოგკვეცნიას, რატომ შემდეგნისამებრ არ მოგ-ვიხსენიებია: «დიდო იმპერატორო! ჩუენო მფარვე-ლო! ჩუენო, უსჯულოთ მაჰმადთაგან დამხსნელო! გვიბძანე და მზათა ვართ ერთგულნი მჴლნი შენნი ივერიელნი.» სიკეთეს გარდახდა უნდა, გარწმუნებთ რომ არა თუ ჩუენს დიდ მეფეს თჳთონ უზენაესს იამება ეს საღმრთო მოხსენება; მაგრამ არა, რომ არ არის ჩუენში მადლიერი გრძნობა. დავგვიდა-პირი, შევყურებთ, ჩუენის თავისა რომ არა გვეს-მისრა, ქუეყნისას რას ვაგებთ. ჩუენში ეს ვახლავსთ: სიმუხრე, მტერობა, კიცხვა, ამპარტავ-ნება და სხ. ვითომ ვიფიქროთ საზოგადოდ კეთილს რაზედმე, ღმერთმან დაგვიფაროს! ჯერ რომ ერთი ენაღა დაგვრჩომია, ისიც ვერ მიგვიცია წარმატე-ბაში, სხუას რა კეთილსა ვიქმთ!... ვინანებთ! ვინანებთ!

გვიან იქნება სინანული! «სიკვდილის შემდგომს სინანული, უქმია.— წაიკითხეთ უავგუსტოესის სიტყუჲა და იქითგანა ჰსცანით გული იმპერატორისა. ვინ უნდა იყოს იმისთანა, რომ იმისი კეთილი გული და სული არ შეიყვაროს. თუ იტყვით გვიყვარსო, მაშ დავამტკიცოთ და ნუ მივიყვანთ იქამდინ, რო იმ აზრით ბძანდებოდეს, რა აზრითაც მიუდია მოსყოვის კეთილშობილნი. ღმერთმან დაგვიფაროს! «მრისხანება მეფისა, არს მრისხანება ღჳთისა.» გვმტყუვის საღმრთო წერილი!... გონია ჯერ ეს ლაყბობა ჩემი საქმიოა; მოვიდადე. ცალკე ლაყბობით და ცალკე სიარულით,მინდა ცოტას ხანს კლუბში შევისვენო, გრძნობამაც დამათრო!... ზოგს ჩემს მოგზაურობაზე ქ. ტფილისში ქართველთ სამეჳნელად, მოვილაპარაკებ თქუჱნთან შემდგომს წიგნში, იანვრის ნომერში. თუ მკითხველნი იქნებიან ვინმე, ეს იგი თუ რედაკტორს კედის მომწერნი ყოლდებიან, თუ არა და, ისევე რედაკტორმა ინაღვლოს და თუ სადმე არიან, ქართველებმა!... მშჳდობით! მეორედ ნახვამდინ! ღმერთმან მიგაგებოთ სიმრთელით ახალს წელიწადს, რომლისაგანაც იმედი მაქჳს შეგვცვლით. შევიტყე, ვითომც ახალს წელიწადს მოჰქონდეს ერთის თჳს სავალითგან, სიყვარული ქართულის ენისა... აჲ, კიდევ წავედი! ვითომც მოვეშო იმ ერთს აზრს «ენის სიყვარული!» ნათქვამია ქართულად: «წყალი ნაყე, ნაყე, ისევ წყალიაო!... აჲ თუ ქართულური არ მომდის, გავათავე ლაყბობა და აქამდინ კიდევე ვერ მოგახსენეთ

საყვარელნო მკითხველნო მიზეზი ჩემის აქამდის კმა გაკმეტისა. მოკლეთ მოგახსენებთ: მიზეზი ეს გახლდათ, რომ რამდენიც სალაყბოს ჩემი გაზეთი, გინა ფურცელი გაგზავნე რედაკტორთან, იმდენი არ დამიბეჭდა, ბოლოს თავში დამარტყა ერთიან და მითხრა ამოხვრით, რომლესაც უთხარი რატომ არ დამიბეჭდე მეთქი: ღმერთმან ნუ იცის შენი თავი, რისთჳსაც არ დაგიბეჭდეო! შენის ლაყბობით ასე მეტი კელის მომწერი დავკარგეო!... აჰ საყვარელნო მკითხველნო! ჩემი ლაყბობა როგორ მიგაჩნიათ!...

მოლაყბე.

## სხჳა ჲ სხჳა ამბავი.

—დეკემბრის პირველითგან, ამა წლისა, ქალაქს ტფილისში იმყოფება ფრანციის უწარჩინებულესი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელიცა იყო ამ ახლოს ხანში ჩჳენის ცისკრის ტიპოგრაფიაში, სადაცა გასინჯა ყოველი კუთვნილება რედაქციისა. მრთელს ხმელეთზედ გამოჩენილი მწერალი ეხლა მოგზაურობს. ვისაც წარუკითხავს «გრაფი მონტე ქრისტო» ის უეჭველად კარგათ იცნობს ამ მწერალს ჲ, ვისაც არ წარუკითხავს, ვეცდებით მომავალს წელს წავაკითხოთ, რადგანც კიდეცა გვაქჳს რედაქციაში გადმოთარგმნილი.—

## რედაქციისაგან.

—წარსულის თვის, ნოემბრის წიგნში, 184 გვერდზე ტიპოგრაფიის შეცთომით დაბეჭდილია «უსჯულოდ» გთხოვთ წარიკითხოთ «უსულოდ.» ამასთანავე გვესმის მრავალთაგან უკმაყოფილება მაზედ, რომ სტატიებში მოგვდის შეცთომები. ჩჳენ სარწმუნო ვართ, ვისაც ესმის ტიპოგრაფიის გარემოება ის არ დაგვძრახავს, ამისთჳს რომ არცა ერთი ევროპის ჟურნალი არ გამოდის შეუცთომელად. მაგ შეცთომების გასასწორებლად ყოველს ჟურნალსა ჰყავს იმისთანა პირი, რომელსაცა აქჳს საკუთრად ამ საგანზედ ზედამხედველობა ჲ არა ჩჳენსავით სხჳა ჲ სხჳა საგნების გამოდგომა ერთის პირისა-

გან. რასაკვირველია ჩუენცა შეგვიძლიან ვიყოლიოთ ამ გვარი პირი. (კორრეკტორი) გარნა სამწუხაროდ ჩუენდა ღონისძიება არ გვაძლევს ნებას. სადაცა კორრეკტორი ჰყავსთ, იქ რამდენიმე ათასის ჴელის-მომწერთა იმედითაცა არიან. და არა ჩუენსავით რამდენიმე ოცი ჰყავთ.

—ლექსში, წარსულსავე ნოემბრის თვეში, 129 გვერდზედ ნაცვლად «ლერმანტოვით» ტიპოგრაფიისვე შეცთომით მოგვსვლია «პუშკინით.» გთხოვთ წარიკითხოთ «ლერმანტოვით»

—ზოგი ერთი იმ გვარი თხზულება მოგვდის რედაქციაში, რომლისაცა დაბეჭვდის უფლება არა გვაქვს, ესე უფლება, რომ ცენზურის კანონით ყოველს თხზულებას ქვეშ უნდა ეწეროს საჴელი და გვარი ავტორისა, წინააღმდეგ ამისა, ცენზურა არ გვაძლევს დაბეჭვდის ნებას. უკეთუ არა სურს ავტორს საჴელის გამოაშკარავება, მაშინ ეს შეუძლიან, მხოლოდ ამ პირობით, რომ უნდა იცოდეს ერთი რედაკტორმა და მეორე ცენზურმა, საზოგადოებისათჳს კი დაშთება უცნობელად, რომლისა მოვალეობაცა გვაქვს ჩუენ, და მაშინ არცა გვარი მოსწერლება სტატიას.—განუცხადებთ რა ამას თჳთან ავტორს «რტო პალესტინისასაც» ვთხოვთ გვაცნობოს: ვინა ბძანდება ის უფალი და რა გვარი? მაშინ დიდის კმაყოფილებით დავბეჭდავთ იმ ჩინებულს ლექსებს, რა ლექსებიც მივიღეთ ფოჩტით ამ ახლოს დღეებში. საზოგადოებისათჳს, სურვილისამებრ ავტორისა დაშთება უცნობელად. კიდევე განვიმე-

# სარჩევი მესამის ტომისა:


| | | გვერდი. |
|---|---|---|
| **ლექსები:** | | |
| ბედი ქართლისა. | თ. ნ. ბარათოვისა. | 1 |
| ი: ჭალისადმი. | თ. გ. ორბელიანისა | 63 |
| შავ თვალას. | თ. რ. შ. ვ. | 66 |
| უკანასკნელი ბრძოლა. | მისივე. | 67 |
| ფოთოლი. | მისივე. | 68 |
| პერობილების დროს. | მისივე. | 69 |
| ლხინი. | დ. ბერიევისა. | 61 |
| ჩემს დას ეფე... | თ. გ. ორბელიანისა. | 221 |
| მწირი. | კოლხიდელისა. | 126 |
| შაშვი. | თ. ალ. ჩიქოვანისა. | 128 |
| რტო პალესტინისა. | ს. ლი. | 221 |
| სვანეთის აღებასა ზედა. | | |
| კნიაზის გ. ერ. | ანდ. ჯასრაძისა. | 131 |
| დიანას მეჯლიში. | რაზმაძისა. | 198 |
| ლექსი თ. ალ. ჭავჭავაძისა. | | 204 |
| **პროზა:** | | |
| ზჳმა. | ბაქარ ქართლელისა- | 15 |
| ჯინერვა. | ი. ქ. | 93 |
| უბის საათის შემოდება. | იმისივე. | 85 |
| უსარგებლო ცბიერება. | თ. დ. ციცი-შვილისა. | 439 |
| **პსწავლა და ჴელოვნებანი:** | | |
| ორბელიანთ ანბავი. | თ. ალ. ორბელიანისა. | 57 |
| მოლაყბისადმი. | ი. ბერიძისა. | 102 |
| დაფლვისა სიტყვა. | ა. ტ. | 175 |

სიტყვა, ნაბძანები იმპერატორისაგან. 247
კუდიანი ვარსკვლავი. ი. კ. 230
ატლანტიის ოკეანეს ზღ-
ვაში ტელეგრაფი. თ. ალ. ჯ. ორბელიანისა. 257
სხუა და სხუა ამბავი:
დიდთა მთავართა მობძანება საქართველოში. 111
სავანგებო ჟურნალი. 116
სალაყბოს ფურცლები. მოლაყბისა. 188

ორებთ რომ მრავალი თხზულება ჩინებული გვაქჳს რედაქციაში, ამავე მიზეზით დაუბეჭდავი: რადგანაც ცენზურა ნებას არ გვაძლევს. —

— განუცხადებთ საყვარელთა «ცისკრის» მკითხველ-თა რომ ახალის ასოებისა ნახევარი მივიღეთ კიდეც პე-ტერბურღითგან და ნახევარსაც დღე-დღეზე მოველით.

რედ.

## სხუა და სხუა ამბავი.

### სალაყბოს ფურცელი:

მიზეზი მოლაყბის გაჩუმებისა. — მოლაყბის გულის და სულის ყოფნა ქართველებთან. — საკუთრებითი სარგებლობაზე და საზოგადოზე ლაყბობა. — ზოგჱრთ კაცთა მახინჯობა ლაპარაკით. — განრჩევა «ცისკრის» და დიდის ცისკრისა შორის. — საკუთრებითი სარგებლობა და იმისი ბოროტება. — მოლაყბის მოგზაურობა ტფილისში და ქართველის ძებნა. — ქართველთ ფენომენისაგან მოლაყბის მიღება. — ქართველი და არა ქართველი. — მოლაყბე და სომეხი. — სთჳელი ფულებისა კლუბში. — მოლაყბისაგან ჩინებულის სტატიის თარგმნა. — «ცისკარი» და თავები. — ქართველთ მოწოდება კეთილს საქმეზე მოლაყბისაგან. — მომავალის ახალ-წელიწადისაგან სანუგეშო იმედი. —

მოლაყბისა.

რედაქციისაგან. . . . . .

---

Печатать позволяется. Ноября 10 дня, 1858 года.
Испр. должн. Груз. цензора Св. Алексѣевъ

«ცისკარი» 1859 წლისა, გამოიცემა პირველს რიცხვს ყოვლის თვისას. წიგნი ჭ წიგნი, ხუთის ფურცლიდამ რვამდინ.

---

## ფასი ერთის წლის გამოცემისა:

ქ. ტფილისში გაუგზავნელად ექვსი მანეთი თეთრი ფული.

შინ მაწოდებით ანუ სხვა ადგილებში გაგზავნით: შვიდი მანეთი თეთრი ფული.

---

## ჴელი მოსწერდება:

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნალის «ცისკრის» რედაქციაში, რომელიცა იმყოფება ჭუკიას, კერესელიძის სახლში. —

---